დამტკიცებულია
დამფუძნებლის გადაწყვეტილებით №1
2013 წლის 05 აგვისტო

წ ე ს დ ე ბ ა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„ საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება “

2013 წ.

1. სახელწოდება

1.1. **“საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება”** (შემდგომში – საზოგადოება) წარმოადგენს კერძო სამართლის არასამეწარამეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს (ა(ა)იპ), რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამნართლებრივი ნორმებისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

1.2. საზოგადოების სახელწოდება ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე:

“საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება”,
" Mineralogical Society of Georgia",
"Минералогическое обшество Грузий".

2. საერთო დებულებები

2.1 საზოგადოება ეფუძნება მოქალაქეთა ნებაყოფლობით გაერთიანებას თვითმართვად სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ორგანიზაციაში.

2.2 საზოგადოება იქმნება საქართველოში ადრე მოქმედი მინერალოგიური საზოგადოების ტრადიციებზე დაყრდნობით. იგი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს და საზღვარგარეთის ანალოგიურ საზოგადოებებთან, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებთან და მინერალოგიის საკითხებით დაინტერესებულ სხვა ორგანიზაციებთან და კერძო პირებთან.

2.3 საზოგადოება დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში.

2.4 საზოგადოება არის იურიდიული პირი, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

2.5 საზოგადოების მისამართია: ქ. თბილისი 0175, კოსტავას 75.

2.6 საზოგადოების ელექტრონული ფოსტა: msgeorgia.2012@gmail.com.

2.7 საზოგადოება იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

3. მიზნები და ამოცანები

3.1 საზოგადოების მიზნებია:

- ხელი შეუწყოს გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერების განვითარებას საქართველოში;
- აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოების კომპლექსური შესწავლის საქმეში;
- გაუწიოს პროპაგანდა გეოლოგიურ მეცნიერებათა მიღწევებს საქართველოში და ითანამშრომლოს უმაღლეს სასწავლებლებთან;
- აქტიური მონაწილეობა მიიღოს უახლესი გეოლოგიური ინფორმაციის ურთიერთგაცვლით ღონისძიებებში ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შორის;
- დაეხმაროს საზოგადოების წევრებს მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლებაში;
- თანადგომა გაუწიოს ქვეყნის მინერალურ-რესურსულ ბაზაზე შექმნილ საწარმოებს.

3.2 დასახული ამოცანების განხორციელების მიზნით საზოგადოება:

- ირჩევს წარმომადგენლობებს სხვადასხვა გეოლოგიური პროფილის სასწავლო, სამეცნიერო, სახელმწიფო დაწესებულებაში და კერძო სტრუქტურებში;
- იწვევს საზოგადოების წევრთა საერთო კრებას, რომელზეც განიხილება საზოგადოების მოღვაწეობასთან დაკავშირებული სამეცნიერო და ორგანიზაციული საკითხები;
- ატარებს საზოგადოების წევრთა სამეცნიერო შეხვედრებს, სესიებსა და თათბირებს;
- გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს, ნაშრომთა კრებულს, მონოგრაფიებსა და სხვა სახის ნაშრომებს, მონაწილეობს საცნობარო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის შედგენაში;
- წარმართავს კვლევებს გეოლოგიური მეცნიერების სფეროში, აწყობს სამეცნიერო-კვლევით მივლინებებს, ექსკურსიებს, ეწევა სამეურნეო საქმიანობას, ასევე მონაწილეობს სხვა ორგანიზაციების ღონისძიებებში ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე;
- აჯილდოვებს პრემიით, ჯილდოებით და სხვაგვარად ახალისებს საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომების და სახელმძღვანელოების ავტორებს და მინერალოგიის განვითარებასა და პოპულარიზაციაში წვლილის შემტან მეცნიერ-სპეციალისტებს; აგრეთვე, აწესებს საპატიო წოდებებს;
- ამყარებს კავშირებს სხვა ქვეყნების ასოციაციებთან და საზოგადოებებთან, ახორციელებს სამეცნიერო ლიტერატურისა და სხვა მასალების ურთიერთგაცვლას;
- მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციების და საზოგადოებების საქმიანობაში დადგენილი წესით.

4. საზოგადოების დამფუძნებელი

4.1 დამფუძნებელი იღებს გადაწყვეტილებებს საზოგადოების დაფუძნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სახელმწიფო მარეგისტრირებელ ორგანოში საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ დამფუძნებელი ხდება საზოგადოების ნამდვილი წევრი და მისი უფლება-მოვალეობანი უთანაბრდება საზოგადოების ნამდვილი წევრის უფლება-მოვალეობებს.

4.2 საზოგადოების დამფუძნებელია:
ნოდარ ფოფორაძე – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 30.07.1956წ. თბილისში მცხ. ქ. თბილისი, მაღალაშვილის 8. პირადი №01024039097.

5. საზოგადოებაში გაწევრიანება; წევრთა უფლება-მოვალეობანი

5.1 საზოგადოება აერთიანებს ნამდვილ და საპატიო წევრებს;

5.2 საზოგადოების ნამდვილი წევრი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი – საქართველოს მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს და ასევე იურიდიული პირი. საზოგადოების წევრად მიღება ხდება წერილობითი განცხადების საფუძველზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს დადგენილი ნიმუშის სააღრიცხვო ბარათი. წევრად მიღების გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრის საფუძველზე, ხმების უმრავლესობით და ამტკიცებს საზოგადოების საერთო კრება. ის პირები, რომლებიც მიიღებიან

საზოგადოების წევრებად, ვალდებულნი არიან გადაიხადონ გაწევრიანების შესატანი;

5.3 საზოგადოების საპატიო წევრებად შეიძლება არჩეულ იქნან გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურების მქონე როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნის მოქალაქეები. საზოგადოების საპატიო წევრებად არჩევა ხდება საზოგადოების საერთო კრებაზე ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით;

5.4 საზოგადოების წევრად შეიძლება მიღებულ იქნას საქართველოს საზოგადოებრივი გაერთიანებები, სხვა იურიდიული პირები და უცხოური არასამთავრობო, არაკომერციული საზოგადოებები, რომლებიც იხდიან საწევრო გადასახადს;

5.5 საზოგადოების რიგებიდან წევრის გარიცხვა ხდება სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით იმ შემთხვევაში, თუ: ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული; დარღვეულია სამეცნიერო ეთიკა; საპატიო მიზეზის გარეშე შეტანილი არ არის საწევრო გადასახადი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. ამ შემთხვევაში გარიცხვა ხდება ავტომატურად. ასეთი პირის საზოგადოებაში ხელმეორედ მიღება შეიძლება მოხდეს სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, დავალიანების სრული დაფარვის შემდეგ. წევრის საზოგადოებიდან გარიცხვის გადაწყვეტილებას ამტკიცებს საერთო კრება.

5.6 საზოგადოების ნამდვილი წევრები – საქართველოს მოქალაქეები სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით: აირჩიონ და არჩეულ იქნან საზოგადოების მმართველ ორგანოებში; ჰქონდეთ ხმის უფლება ყველა სამეცნიერო კონფერენციასა და კრებაზე. საზოგადოების საპატიო წევრებს საერთო კრებაზე ხმის უფლება არა აქვთ.

6. საზოგადოების სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

6.1 საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოებია – წევრთა საერთო კრება (შემდგომში საერთო კრება), სამეცნიერო საბჭო, პრეზიდენტი.

6.1.1 საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს. იგი უფლებამოსილია განიხილოს საზოგადოების მოღვაწეობის ზოგადი ამოცანები, ორგანიზაციული საკითხები და კალენდარული გეგმები. დაამტკიცოს საზოგადოების და მისი კომისიების საანგარიშო მოხსენებები. საერთო კრების განსაკუთრებულ უფლება – მოვალეობას შეადგენს: მოქმედ წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა; საზოგადოების პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, სამეცნიერო საბჭოს არჩევა და დამტკიცება; საზოგადოების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ საკითხების განხილვა.

6.1.2 საზოგადოების საერთო კრება მოწვეულ უნდა იქნას არანაკლებ წელიწადში ერთხელ; იგი უფლებამოსილად ჩაითვლება არჩეული დელეგატების ორი მესამედის დასწრების შემთხვევაში. საერთო კრების მოწვევის თარიღს, ადგილსა და დღის წესრიგს, წარმომადგენლობის ნორმებსა და საერთო კრებაზე დელეგატების არჩევის წესს განსაზღვრავს საზოგადოების სამეცნიერო საბჭო. განსაკუთრებულ შემთხვევაში საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს ან საინიციატივო ჯგუფს (მინიმუმ ათ წევრს) შეუძლია პასუხისმგებლობა იკისროს რიგგარეშე (საგანგებო) საერთო კრების მოწვევასთან დაკავშირებით.

6.1.3 საზოგადოების საერთო კრებებს შორის დროის მონაკვეთში ხელმძღვანელი ორგანო არის სამეცნიერო საბჭო, რომელიც

საზოგადოების წესდების შესაბამისად ასრულებს იურიდიული პირის ხელმძღვანელობას. სამეცნიერო საბჭოს წევრთა რაოდენობა და პერსონალური შემადგენლობა განისაზღვრება საზოგადოების საერთო კრებაზე. საზოგადოების დაფუძნებისას სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა 11 წევრის შემადგენლობით. სამეცნიერო საბჭო აირჩევა ოთხი წლის ვადით, ღია (ან ფარული კენჭისყრით საერთო კრების გადაწყვეტილებით) კენჭისყრით. არჩეულად ითვლებიან ის პირები, რომლებიც მიიღებენ ხმათა უბრალო უმრავლესობას.

სამეცნიერო საბჭოს წევრები:

1. ნოდარ ფოფორაძე – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 30.07.1956წ. თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, მაღალაშვილის 8. პირადი №01024039097.
2. შალვა გეგია – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 10.12.1955წ. თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, შარაშიძის №5. პირადი №01017027020.
3. ნანა ზაუტაშვილი – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 04.06.1965წ. თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, რ. აგლაძის 26, 4 კორ. ბ. 41. პირადი №01007004019.
4. მანანა ოთარაშვილი – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 09.04.1962წ. თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №9, ბ. 1. პირადი №01010011852.
5. ოლღა სესკურია – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 23.02.1971წ. თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, დიღმის მას. 4 კვ. კორ. 26, ბ. 84. პირადი №01027026454.
6. არჩილ მაღალაშვილი – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 18.10.1958წ. თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. 69. პირადი №01018002553.
7. თამარ წუწუნავა – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 25.03.1959წ. თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 8ა. პირადი №01024011056.
8. ნათია ჩომახიძე – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 19.05.1984წ. თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, III მასივი, ზემო პლატო, კორ. 42, ბ. 44. პირადი №01027023133.
9. ქეთევან გაბარაშვილი – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 22.02.1974წ. თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, გლდანის 7 მ/რ, კ. 9-ა, ბ. 17. პირადი №01001051732.
10. გიორგი ბერიძე – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 25.09.1988წ. შუახევში. მცხ. შუახევი, ს. მოფრინეთი. პირადი №61010014504.
11. თორნიკე აღლაძე – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 19.12.1992წ. თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, დიდი დიღომი, 3 მკრ. კორ. 18, ბ. 36. პირადი №01024087256.

საზოგადოების სამეცნიერო საბჭოსა და მისი წევრების უფლებამოსილება:

- სამეცნიერო საბჭოს წევრებს ირჩევს საზოგადოების საერთო კრება ღია კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით.
- სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილება ძალაში შედის დადგენილი სამეცნიერო საბჭოს არანაკლებ წევრთა 2/3 არჩევის შემდეგ, საბჭოს პირველსავე სხდომაზე;
- სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარი მაინც;
- სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტმა. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია პრეზიდენტის ხმა;
- სამეცნიერო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრის საფუძველზე. მან გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს საკითხის ფარული კენჭისყრით მიღების თაობაზე.

საზოგადოების სამეცნიერო საბჭო:

- ♦ ხელმძღვანელობს საზოგადოებას და მისი კომისიების და წარმომადგენლობების საქმიანობას;
- ♦ გადაწყვეტს საკითხებს, რომლებიც შედის საზოგადოების საერთო კრების კომპეტენციაში, თუ ამ საკითხების გადატანა მომდევნო კრების მოწვევამდე შეუძლებელია, გარდა იმ საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ საერთო კრების პრეროგატივაა;
- ♦ განაგებს საზოგადოების ქონებას, ამტკიცებს საზოგადოების საფინანსო საქმიანობის ხარჯთაღრიცხვას;
- ♦ ადგენს და ამტკიცებს მუშაობის წლიურ გეგმას, აგრეთვე საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ ხარჯთაღრიცხვასა და ანგარიშებს;
- ♦ ამტკიცებს კომისიების მიერ არჩეულ ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობას;
- ♦ იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების მორიგი ან რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ;
- ♦ ადგენს საწევრო გადასახადების ოდენობას, მათი გადახდის წესებსა და ვადებს;
- ♦ იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოებაში ახალი წევრების მიღების თაობაზე და წარადგენს საპატიო წევრთა კანდიდატურებს;
- ♦ იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების კომისიების და წარმომადგენლობების შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ.
- ♦ ქმნის საექსპერტო სამეცნიერო კომისიებს.

6.2 საზოგადოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას ამოწმებს აუდიტი.

6.3 საზოგადოების მუშაობას ხელმძღვანელობს საზოგადოების პრეზიდენტი, რომელიც ამავე დროს ხელმძღვანელობს სამეცნიერო საბჭოს.

<u>საზოგადოების პრეზიდენტი:</u> განაგებს საზოგადოების ქონებასა და სახსრებს, აწარმოებს ყოველგვარ მიმოწერას, ხსნის და ხურავს ანგარიშებს საკრედიტო დაწესებულებებში და განაგებს ამ ანგარიშებზე არსებულ თანხას სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, საზოგადოების სახელით აფორმებს და ხელს აწერს ხელშეკრულებებსა და ვალდებულებებს, სხვა დოკუმენტებს, რომლებიც გამომდინარეობს საზოგადოების საქმიანობიდან, ქირაობს და ათავისუფლებს თანამშრომლებს, გასცემს მინდობილობას ვიცე-პრეზიდენტის სახელზე მისი არყოფნის შემთხვევაში, მოქმედებს საზოგადოების სახელით ყოველგვარი მინდობილობის გარეშე. პრეზიდენტის არჩევა ხდება საერთო კრებაზე, ღია კენჭისყრით, ოთხი წლის ვადით. არ შეიძლება ერთი და იგივე პიროვნების ზედიზედ არჩევა პრეზიდენტად ორ ვადაზე მეტი ხნით. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭება საზოგადოების პრეზიდენტს.

საზოგადოების პრეზიდენტია:
ნოდარ ფოფორაძე – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 30.07.1956წ. თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, მაღალაშვილის 8. პირადი №01024039097.

6.4 საზოგადოების <u>კომისიები</u>.

6.4.1 საზოგადოებაში არსებობს შემდეგი კომისიები:
- მეტალური წიაღისეულის;
- არამეტალური წიაღისეულის;
- საიუველირო და სანახელავო ქვების (გემოლოგია);

- ჰიდრომინერალური რესურსების;
- სამუზეუმო საქმიანობის;
- მინერალების კვლევის მეთოდების და დიაგნოსტიკის;
- მინერალების ზრდის და ტექნოლოგიური მინერალოგიის,
- მინერალოგიის სწავლების და პოპულარიზაციის.

6.5 საზოგადოების წარმომადგენლობები

6.5.1. მოღვაწეობის არეალის გაფართოების და მინერალოგიით დაინტერესებულ მოქალაქეთა მიზიდვის მიზნით იმ რეგიონში, სადაც მინერალოგიით დაინტერესება მაღალი იქნება, საზოგადოება ნიშნავს წარმომადგენლებს.

7. საზოგადოების ფულადი სახსრები და ქონება

7.1 საზოგადოების ფინანსური წყაროებია: წევრად მიღების და საწევრო გადასახადები; სამეურნეო (მათ შორის, სამეცნიერო გრანტებით მიღებული, საგამომცემლო) შემოსავლები; საქართველოსა და სხვა ქვეყნის მოქალაქეებისა და ორგანიზაციების შემონატანები, შემოწირულობები; იმ ღონისძიებებით მიღებული შემოსავლები, რომლებიც კანონით აკრძალული არ არის.

7.2 საზოგადოებას შეუძლია საკუთრებაში ფლობდეს ფულად სახსრებს, აქციებს, შენობებს, აღჭურვილობებს, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა ქონებას, რომლებიც აუცილებელია მისი საქმიანობისათვის.

7.3 ყველა შემოსავალი და სახსრები მთლიანად ხმარდება საზოგადოების მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას;

7.4 საზოგადოება პასუხს აგებს აღებულ ვალდებულებებსა და კუთვნილ ქონებაზე.

8. ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის პირობები

8.1 საზოგადოების ლიკვიდაცია ან მისი რეორგანიზაცია ხდება დადგენილი კანონმდებლობის მიხედვით.

8.2 საზოგადოების ქონება, მისი არსებობის შეწყვეტის შემთხვევაში, განიკარგება მოქმედი კანონმდებლობით.

ა(ა)იპ "საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება"-ს პრეზიდენტი:

ნოდარ ფოფორაძე ----------

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება“ -ს

დამფუძნებელის ნოდარ ფოფორაძის

გადაწყვეტილება №1

ქ. თბილისი, ---------- 2013წ.

მე, საქართველოს მოქალაქე **ნოდარ ფოფორაძემ** გადავწყვიტე:

1. დავაფუძნო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი **„საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება“,** რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანი იქნება: ხელი შეუწყოს გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერების განვითარებას საქართველოში.

2. დავამტკიცო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის **„საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება“ -ს** წესდება.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოა სამეცნიერო საბჭო. სამეცნიერო საბჭო შედგება თერთმეტი წევრისაგან.

1. ნოდარ ფოფორაძე – საქართველოს მოქალაქე, დაბ. ---------- თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, მაღალაშვილის 8. პირადი №01024039097.

2. შალვა გეგია – საქართველოს მოქალაქე, დაბ. ---------- თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, ----------. პირადი №----------.

3. ნანა ზაუტაშვილი – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 04.06.1965წ. თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, რ. აგლაძის 26, 4 კორ. ბ. 41. პირადი №01007004019.

4. მანანა ოთარაშვილი – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 09.04.1962წ. თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №9, ბ. 1. პირადი №01010011852.

5. ოლღა სესკურია – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 23.02.1971წ. თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, დიღმის მას. 4 კვ. კორ. 26, ბ. 84. პირადი №01027026454.

6. არჩილ მაღალაშვილი – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 18.10.1958წ. თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. 69. პირადი №01018002553.

7. თამარ წუწუნავა – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 25.03.1959წ. თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 8ა. პირადი №01024011056.

8. ნათია ჩომახიძე – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 19.05.1984წ. თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, III მასივი, ზემო პლატო, კორ. 42, ბ. 44. პირადი №01027023133.

9. ქეთევან გაბარაშვილი – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 22.02.1974წ. თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, გლდანის 7 მ/რ, კ. 9-ა, ბ. 17. პირადი №01001051732.

10. გიორგი ბერიძე – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 25.09.1988წ. შუახევში. მცხ. შუახევი, ს. მოფრინეთი. პირადი №61010014504.

11. თორნიკე აღლაძე – საქართველოს მოქალაქე, დაბ. 19.12.1992წ. თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, დიდი დიღომი, 3 მკრ. კორ. 18, ბ. 36. პირადი №01024087256.

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პრეზიდენტი ვიქნები მე: ნოდარ ფოფორაძე – საქართველოს მოქალაქე, დაბ. ---------- თბილისში. მცხ. ქ. თბილისი, მაღალაშვილის 8. პირადი №01024039097.

5. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭება საზოგადოების პრეზიდენტს.

ა(ა)იპ "საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება"-ს პრეზიდენტი:

ნოდარ ფოფორაძე ----------